

2015 წლის 6 თებერვლის N18 ბრძანება

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის N102 დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისია“ (დანართი N1).

2. დამტკიცდეს „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისიის“ დებულება (დანართი N2).

3. დამტკიცდეს „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი“ (დანართი N3).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

სამსახურის დირექტორი

ირაკლი შიხიაშვილი

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებებიდან დასაფინანსებელი სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისია“ (შემდგომში - კომისია).

2. კომისია საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. კომისიის კომპეტენცია

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ამ ბრძანების N3 დანართით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ.

მუხლი 2 კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის წევრებისაგან.

2. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

3. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას, იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს;

ბ) კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების საქმიანობას;

გ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;

დ) დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს;

ე) აკონტროლებს კომისიის სხდომების დღის წესრიგს, სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არყოფნის შემთხვევაში.

5. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) კომისიის სხდომაზე დააყენოს წინადადებები, მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში და დაყენებული საკითხების კენჭისყრაში;

ბ) დააფიქსიროს განსხვავებული აზრი კომისიაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

6. კომისიის წევრი ვალდებულია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სხდომებში და არ გააცდინოს სხდომა არასაკაპიტო მიზეზით;
- ბ) შეასრულოს კომისიის დავალებები;
- გ) წარუდგინოს კომისიას ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ.

7. კომისიის წევრს შეიძლება მიეცეს აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისგან, თუ ცნობილი გახდა ან/და დადასტურდა მისი პირადი ინტერესი ან/და არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საკითხის გადაწყვეტაზე.

8. კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის კომისიის წევრი.

9. კომისიის მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;
- ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე;
- გ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;
- დ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს კომისიის სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომა იმართება კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია იხილავს კომისიის წევრებთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

4. კომისიაზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სოციალურ საკითხთა დეპარტამენტმა შეიძლება დამატებით შეიტანოს საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული კომისიის წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.

5. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

6. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

7. საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, კომისიის ოქმს ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი, მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციის ქონის შემთხვევაში, უფლებამოსილია ოქმს თან დაურთოს წერილობითი ფორმით შედგენილი მოსაზრება.

8. კომისიის ოქმს თან ერთვის განხილული დოკუმენტაცია, რომელიც ოქმის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 4. ანგარიშგება

კომისია ყოველ სამ თვეში ერთხელ ამზადებს და წარუდგენს ანგარიშს სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს.

მუხლი 5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ამ წესით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების (ფინანსური დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებისას) გაცემის პირობებს.

2. ამ წესით დამტკიცებული ვეტერანების სამედიცინო მომსახურების პროგრამა წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის დამატებით ნაწილს და მოიცავს იმ სერვისების (მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები, წინა და პოსტოპერაციული გამოკვლევები, რეაბილიტაცია, ლაბორატორიული კვლევები, ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანადაფინანსება და სხვა სამედიცინო მომსახურებები) მიწოდებას, რასაც არ ფარავს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები.

მუხლი 2. სამედიცინო მომსახურება და მომსახურების დაფინანსების მიმღები ბენეფიციარები

1. ამ წესით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მიმღები ბენეფიციარები არიან სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შემდეგი პირები:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები;

გ) მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები;

დ) მარტოხელა ვეტერანები;

ე) აგრეთვე სხვა ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას.

2. ბენეფიციარი პირი, რომელიც სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სოციალურ საკითხთა დეპარტამენტში (შემდგომში - სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი) განაცხადის რეგისტრაციის მომენტში სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის, სახელმწიფო დაზღვევის, სახელმწიფო ან მუნიციპალური სამედიცინო პროგრამებით, „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სოციალური დახმარების განხორციელების ხელშეწყობის კომისიის“ (შემდგომში - კომისია) ფარგლებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას მიიღებენ თუ:

ა) ამოწურულია სამედიცინო დახმარების ფინანსური ლიმიტი;

ბ) მოთხოვნილი სამედიცინო სერვისი არ ფინანსდება სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამ(ებ)ით;

გ) დაფინანსება არასრულია და ბენეფიციარი ითხოვს სერვისის თანადაფინანსებაში მისი გადასახდელი თანხის ანაზღაურებას.

3. კომისია უფლებამოსილია დააფინანსოს მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურება როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ.

4. სამედიცინო მომსახურება ბენეფიციარს დაუფინანსდება არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

5. ბენეფიციარმა პირებმა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიღების მიზნით უნდა მიმართონ სამსახურის დირექტორს წერილობითი განცხადების ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა) მე-2 მუხლში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ბ) ფორმა N100 და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია სამედიცინო დაწესებულებიდან.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ ოჯახის მიმდინარე შემოსავლის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება ბენეფიციარის სასიცოცხლო ჩვენების გათვალისწინებით.

მუხლი 3. მედიკამენტებით დაფინანსების უზრუნველყოფა

1. მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც სამედიცინო ცნობისა (ფორმა N100) და ექიმის დანიშნულების (მედიკამენტების სახეობა) საფუძველზე ესაჭიროებათ მედიკამენტების შექმნა. დაფინანსების მისაღებად აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნას აფთიაქის მიერ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია.

2. ანაზღაურება განხორციელდება ამ ბრძანებით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამისი აფთიაქის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

მუხლი 4. დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებისას

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანის ოჯახის ერთ-ერთ წევრზე სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაიცემა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით შემდეგი პირების გარდაცვალებისას:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის;

ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: მეუღლე, შვილ(ებ)ი და მშობლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პირების არყოლის შეთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ დახმარების მიმღებ პირს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ამ წესით შესაბამისად დახმარების მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის სხვა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი თანმიმდევრობით.

4. დახმარების მიღების მიზნით გარდაცვლილის ოჯახის წევრმა სამსახურში უნდა წარადგინოს: განცხადება სამსახურის დირექტორის სახელზე, გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობა

(მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, ცნობა პოლიციიდან მოწმობის დაკარგვის შესახებ), განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

5. გარდაცვლილთან ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული ნათესაური კავშირის დამადასტურებლად ან ანდერძით მემკვიდრეობით დახმარების მიღების მიზნით სამსახურში აგრეთვე უნდა იქნეს წარმოდგენილი:

- ა) გარდაცვლილის შვილის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლი;
- ბ) გარდაცვლილის მეუღლის შემთხვევაში, ქორწინების მოწმობის ასლი;
- გ) გარდაცვლილის მშობლის შემთხვევაში, გარდაცვლილის დაბადების მოწმობის ასლი;
- დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული კანონით მემკვიდრის შემთხვევაში, შესაბამისი ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) ანდერძით მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო მოწმობა.

6. ოჯახის წევრს დახმარების მიღების უფლება აქვს 2015 წლის შემდგომ გარდაცვლილ ვეტერანზე, პირის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში.

7. ანაზღაურება განხორციელდება ამ ბრძანებით დადგენილი წესით, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის თანხმობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ შესაბამისი საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

მუხლი 5. ბენეფიციარი პირების განცხადებების განხილვა-შესწავლა

1. სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხორციელდება შემდეგი საკითხების განხილვა-შესწავლა:

- ა) ბენეფიციარი პირის სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია;
- ბ) ბენეფიციარი პირის სოციალურად დაუცველთა ბაზაში მონაწილეობა - სარეიტინგო ქულის მითითებით;
- გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტის შესწავლა.

2. შემოსული განცხადებების განხილვა-შესწავლის შემდეგ, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი განცხადებებს, თანდართული დოკუმენტაციით, განსახილველად გადაუგზავნის კომისიას.

3. კომისია უფლებამოსილია მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მატერიალური მდგომარეობა გადაამოწმოს დამატებით, კომისიის მიერ გამოყოფილი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით.

მუხლი 6. თანხის ანაზღაურება

საგარანტიო წერილით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება იწარმოებს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი საფინანსო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლის სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ შემოწმების შემდეგ, სამსახურის დირექტორის თანხმობით ხორციელდება სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებისათვის მოხსენებითი ბარათის მომზადება, შესაბამის დაწესებულებაში თანხის გადარიცხვის მოთხოვნით. საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო დაწესებულებაში

თანხის გადარიცხვა ხორციელდება წინასწარ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 7. კონტროლის განხორციელება

აღნიშნული წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი განხორციელდეს სამსახურის მონიტორინგის და აუდიტის დეპარტამენტის მიერ, შერჩევითი ინსპექტირების გზით.